585/2
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 4

1989

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

19223

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (585) აპრილი 1989 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

55. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ.

56. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქობულეთის № 411 საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

58. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

59. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ თბილისში კომენდანტის საათის გაუქმების შესახებ.

60. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ.

61. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. რ. სანებლიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



63. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

64. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

## განყოფილება მეორე

65. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. მეგრელიძისათვის „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

66. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. მ. ციბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

მუხ. 55—56
ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 55 ქალაქ თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შემოღებულ იქნეს ქალაქ თბილისში კომენდანტის საათი 1989 წლის 9 აპრილიდან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1989 წლის 9 აპრილი.**
**№ 2126—XI**

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 56 ქობულეთის № 411 საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ამხ. გ. ი. ჩიგოგიძის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ პირადი განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე ჩაითვალოს ვადამდე შეწყვეტილად ქობულეთის № 411 საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. გურამ იაგორის ძე ჩიგოგიძის უფლებამოსილება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 11 აპრილი.
**№ 2127—XI**

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 57 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ქავარაძელია.

თბილისი, 1989 წლის 14 აპრილი.
№ 2132—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 58 ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნოდარ ამროსის ძე ჭითანავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ქავარაძელია.

თბილისი, 1989 წლის 14 აპრილი.
№ 2133—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 59 ქალაქ თბილისში კომენდანტის საათის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული კომენდანტის საათი გაუქმდეს 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ქავარაძელია.

თბილისი, 1989 წლის 17 აპრილი.
№ 2135—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 60 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 119-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი მიღებული მიმართვისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოსაკვლევად შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან, თანახმად დანართისა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1989 წლის 17 აპრილი.**
**№ 2136—XI**

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის
დადგენილების დანართი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კომისიის შემადგენლობა

ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე** — მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ელგუჯა დავითის ძე **ამაშუკელი** — საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ზურაბ ივანეს ძე **ანჯაფარიძე** — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თამაზ ვალერიანის ძე **გამყრელიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

გივი სერგის ძე **გაჩეჩილაძე** — თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იური ალექსანდრეს ძე **გოდუნოვი** — საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსამშენმასალების“ თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნუგზარ ნიკოლოზის ძე **გოგოლაშვილი** — ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი, ქარხანა ელექტროგამშვების მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ვახტანგ პართენის ძე **ესვანჯია** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მალხაზ მიხეილის ძე **ზაალიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

რევაზ შალვას ძე **თაბუკაშვილი** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოდრამატურგთა შემოქმედებითი გაერთიანების სასცენარო სახელოსნოს ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

ჯანსუღ ივანეს ძე **კახიძე** — კომპოზიტორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, საქართველვს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** — საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **ლოლაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პარმენ იორამის ძე **მარგველაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი** — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

ნოდარ მიხეილის ძე **მგალობლიშვილი** — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი შოთას ძე **მირიანაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

არმენ ლევონის ძე **მირზოიანი** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შოთა ალექსანდრეს ძე **ნადირაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ნოდარ რევაზის ძე **ნათაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ბიძინა რაჟდენის ძე **ნანეიშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ემილ ალექსის ძე **სეხნიაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ოთარის ძე **ტალიაშვილი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკისა და ელექტრომექანიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი.

გურამ ივანეს ძე **ფანჯიკიძე** — მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი.

ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაია** — სსრ კავშირისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირების გამგეობათა მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ავდილის ძე **ჩარკვიანი** — მწერალი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თემურ ნოდარის ძე **ჩხეიძე** — საქართველოს სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

რევაზ დავითის ძე **ჩხეიძე** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

რამაზ გრიგოლის ძე **ჩხიკვაძე** — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სულხან თევდორეს ძე **ცინცაძე** — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** — პროფესორი, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ მიხეილის ძე **ხანანაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ნინო ალექსანდრეს ასული **ჯავახიშვილი** — ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სერგი მანასეს ძე **ჯორბენაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 61 ამხ. ა. რ. სანებლიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1989 წლის 21 აპრილი.**
**№ 2139—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 62 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოსაკვლევად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებით შექმნილ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიაში დამატებით იქნენ შეყვანილი:

თენგიზ ალექსანდრეს ძე **ლილუაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მამუკა ავთანდილის ძე **ნაცვალაძე** — ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ვახტანგ ეგნატეს ძე **ფიფია** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ლანა ლევანის ასული **ღოღობერიძე** — კინორეჟისორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ივანეს ძე ჯორჯაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 28 აპრილი.
№ 2143—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 63 ამხ. გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 28 აპრილი.
№ 2143—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 64 ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 28 აპრილი.
№ 2146—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 65 ამხ. გ. ი. მეგრელიძისათვის „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ვაჭრობის სფეროში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის გარნიზონის № 663 სამხედრო ვაჭრობის უფროსს ამხ. გიორგი იაკობის ძე მეგრელიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 11 აპრილი.
№ 2128—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 66 ამხ. გ. მ. ციბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი მათეს ძე ციბაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 11 აპრილი.
№ 2129—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 67 „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ავტოტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის მძღოლებს:

გიორგი ილიას ძე **დავლაშერიძეს**.

რუბენ ტიგრანის ძე **პოღოსიანს**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია**.

თბილისი, 1989 წლის 11 აპრილი.

№ 2130—XI